„შრომითი ზაფხულის“ ლიდერები

გამარჯვებული დაუბრუნდა მშობლიურ რესპუბლიკას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 980-კაციანი სტუდენტთა სამშენებლო რაზმი „საქართველო-81“ (მეთაური ვლადიმერ მუზასაშვილი, კომისარი ივანე პილლაძე), რომელიც ორი თვის განმავლობაში სმოლენსკის ოლქში მშენებარე რამდენიმე ობიექტზე მუშაობდა.

უნივერსიტეტელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გეგმით გათვალისწინებული 2 მილიონ 500 ათასი მანეთის ნაცვლად, 4,5 მილიონი მანეთის ღირებულების სამუშაოები შეასრულეს და სმოლენსკის ოლქში მომუშავე სტუდენტთა სამშენებლო რაზმებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაისაკუთრეს. „შრომითი ზაფხული-81“-ის ლიდერებს, უნივერსიტეტელ ბიჭებს ჩამოსვლისას ბორჯომის ვაგზალში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს მეგობრებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, მშობლებმა. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე სტუდენტებს მიესალმა და შრომითი გამარჯვებები მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვაჟა ოკუჯავამ.

უნივერსიტეტის ყამირელთა მატიანეში კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამშენებლო რაზმის „საქართველო-81“-ის მონაწილეებმა.

ლ. კვირიკაშვილი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: სტუდენტთა სამშენებლო რაზმის ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

გამარჯვებულთა დაბრუნება

„შრომითი სემესტრი — 81“

სპორტთან მეგობრობაში

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 167 (6978)

29 აგვისტო, შაბათი. 1981 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

„ოდიში“, „ამორძალი“ და სხვები...

ცოტაც და კვლავ ახმაურდება უმაღლესი სასწავლებლების კაბინეტ-ლაბორატორიები და აუდიტორიები. მზით გარუჯული ქალიშვილები და ჭაბუკები ახალი ენერგიით შეუდგებიან ცოდნის მწვერვალების დაპყრობას. ტკბილმოსაგონრად დარჩებათ სტუდენტური ზაფხული, განსაკუთრებით კი მათ, ვინც იგი შრომით ფრონტზე გაატარა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური, სამედიცინო, ქუთაისის პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების, თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის, ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის, ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმისა და სხვა სასწავლებლების 4 ათასამდე სტუდენტი მონაწილეობდა წლეულს შრომითი და სამშენებლო რაზმების ცხაკაიას ზონაში (ზონალური შტაბის მეთაური პ. კოპალიანი, კომისარი მ. გვილავა). ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუსა და სხვა რაიონის მშრომელებთან ერთად სტუდენტებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში.

შრომითი ზაფხული მარტო შრომითი როდია. იგი აქტიური დასვენების პერიოდიცაა. ეს კარგად აქვთ შეგნებული სტუდენტებს და მათი ყოველდღიური საქმიანობაც ამის დასტურია: აწყობენ ლაშქრობებს, ექსკურსიებს, შეხვედრებს გამოჩენილ ადამიანებთან. უპირველესი ადგილი მაინც ფიზკულტურასა და სპორტს უკავია. სტუდენტებიც სპორტული ბაზების ხშირი სტუმრები არიან. ცხაკაიას ზონაში 135 სტუდენტმა მშთ-ს ნორმატივები ჩააბარა, ხოლო ტყვიის სროლაში მონაწილე 400 სტუდენტიდან 14-მა პირველი თანრიგის შედეგები აჩვენა.

უფრო მასობრივი იყო სტუდენტთა მონაწილეობა ზონალურ სპარტაკიადაში. 1200-ზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი ეჯიბრებოდა ერთმანეთს ჩემპიონის სახელისთვის ჭადრაკში, შაშში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ფეხბურთში.

გოგონათა შორის სპარტაკიადისთვის ყველაზე უკეთ მომზადებული საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომითი რაზმები „ოდიში“ (მეთაური რ. ცერცვაძე) და „ამორძალი“ (მეთაური ნ. ნიკურაძე) აღმოჩნდნენ. მათ ოთხი სახეობის ჯამში შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს. კარგად იასპარეზეს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომითი რაზმის „კოლხეთი-81“-ის (მეთაური მ. კუპრაშვილი) სპორტსმენებმა, რომლებიც III საპრიზო ადგილს დაეუფლნენ.

უფრო მწვავედ და უშეღავათოდ მიმდინარეობდა ორთაბრძოლები ვაჟთა შორის. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის სამშენებლო რაზმის „მშენებლის“ (მეთაური ვ. ნაჭყებია) წარმატება. რაზმის წევრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეებს, იმარჯვეს ფეხბურთში, II ადგილი დაიკავეს ფრენბურთში, III—შაშში, დააგროვეს 345 ქულა და საბოლოოდ გამარჯვებულს, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო რაზმის „თბილისი-81“-ის (მეთაური ნ. ბოცვაძე) სპორტსმენებს მხოლოდ 30 ქულით ჩამორჩნენ. III საპრიზო ადგილი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო რაზმის „აბაშის“ (მეთაური გ. გოროზია) სპორტსმენებმა დაიკავეს.

— მართალია, სპარტაკიადამ გამოავლინა გამარჯვებულები, — გვეუბნება ცხაკაიას ზონალური შტაბის კომისარი მერაბ გვილავა, — მაგრამ დამარცხებულები არა გვყავს. ჩვენი სპარტაკიადა სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტთა და მოსწავლეთა დაახლოებასა და დამეგობრებას ემსახურებოდა. ვფიქრობთ, რომ მან მიზანი გაამართლა...

მალე სწავლა დაიწყება. სამშენებლო და შრომითი რაზმების ცხაკაიას ზონაში მომუშავე სტუდენტებიც მიაშურებენ მშობლიურ სასწავლებლებს, პირნათელნი და მდიდარი შთაბეჭდილებებით აღსავსენი.

ვ. დანელია,
(„ლელოს“ სპეც. კორ.).
ცხაკაია.

● ხელბურთი

გამოვლინდა ფინალური ოთხეული

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ სპორტულ დარბაზში გრძელდება სტუდენტ ხელბურთელთა საკავშირო სპარტაკიადა. მესამე ტურის შეხვედრებმა გამოავლინეს ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი — საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები.

შეჯიბრების აუტსაიდერების — უფის უნივერსიტეტელ და ტაშკენტელ ხელბურთელთა მატჩში აშკარა იყო უფელთა უპირატესობა — 43:25 (19:13).

საკმაოდ დაძაბული გამოდგა ძველი მეტოქეების — კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდების შეხვედრა, რომელიც მოიგეს კრასნოდარელებმა — 29:23 (16:13).

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივების ორთაბრძოლამ. პირველ 15 წუთში ა. ტაბიძემ, ა. ანპილოგოვმა, ზ. დოლიძემ საგრძნობლად დააწინაურეს გუნდი — 10:4. მოწოდების სიმაღლეზე იდგა დაცვა და მეკარე ჯ. ბარამიძე, რომელიც თავგანწირვით იგერიებდა მოსკოველ ხელბურთელთა და პირველ რიგში მათი ლიდერის ო. გაგინის შემოტევებს. მე-18 წუთიდან, როდესაც კარში დადგა თბილისელთა ახალგაზრდა ტანმაღალი მეკარე ი. ამირეჯიბი, დაცვამ, ასე ვთქვათ, ვერ უზრუნველყო ახალგაზრდა მეკარის „უსაფრთხოება“: გაგინის ხუთი ტყორცნიდან ოთხმა მიაღწია მიზანს. თუმცა, ამირეჯიბის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ორი ძნელი ბურთი მოიგერია. ა. ანპილოგოვმა და ვ. გასიმ კი რამდენიმე უშედეგო ტყორცნა შეასრულეს. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა ტაიმის ბოლოსათვის ოთხქულიანი სხვაობა შეინარჩუნეს.

მეორე ნახევრის პირველივე წუთებში თბილისელთა ლიდერებმა საგრძნობლად დააწინაურეს გუნდი — 21:14. იოლი გამარჯვების მოლოდინში მასპინძლები რატომღაც მოეშვნენ, რითაც ისარგებლეს მოსკოველებმა და 43-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს — 24:24. მალე ისინი წინ გავიდნენ კიდეც — 28:26. იგრძნეს რა წაგების საშიშროება, თბილისელები მთელი ძალით ათამაშდნენ და ორიოდე წუთში ვ. ბერიაშვილისა და ანპილოგოვის უშეცდომო თამაშით კვლავ დაწინაურდნენ — 31:29. თუმცა, მცირე ხნით: მატჩის ბოლო წუთებში მასპინძლებმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვეს დაცვაში და მეტოქეებს ანგარიშის გაქვითვის საშუალება მისცეს — 33:33.

ამ დღეს გუნდების ლიდერებმა ანპილოგოვმა და გაგინმა 14-14 ბურთი გაიტანეს და ტურნირის ბომბარდირთა ბრძოლას სათავეში ჩაუდგნენ — შესაბამისად 24 და 23 გოლით.

დღეს გაიმართება საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლი ოთხეულის ორი მატჩი: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — ზაპოროჟიეს ზიი და კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

ჯ. აბაიშვილი,
საპატიო სპორტის ოსტატი.

* * *

სურათებზე: კრასნოდარისა და ზაპოროჟიეს (მარცხნივ) გუნდების შეხვედრა; შეტევაზეა თბილისელთა კაპიტანი გ. ნარიმანიძე (მუქ მაისურში).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

სპორტული სკოლების ცხოვრება

ვიდრე სექტემბრის ზარი დარეკავს...

აღზრდა-მრავალმხრივი

სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტულ ბაზას, რომელიც აღჭურვილია სასწავლო-სავარჯიშო მეცადინეობისთვის აუცილებელი თანამედროვე მოწყობილობით.

ჩოგბურთის ასეთი ბაზა თბილისში შეიქმნა 1978 წელს ქალაქის ცენტრში. ოთხ მოედანს დაემატა ორი საზაფხულო კორტი და დახურული სასახლე ორი კორტით. ამ ბაზის გახსნას დაემთხვა ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის შექმნა, რომელიც თბილისის განათლების სამმართველოს ინიციატივით გაიხსნა. სკოლას სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ევროპისა და უნივერსიადების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ კაკულია.

შედარებით მოკლე დროში მუშაობა კარგად აეწყო. სკოლაში სამუშაოდ მოვიდნენ გამოცდილი მწვრთნელები — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები მ. ქობალია, გ. ლარიბაშვილი, ტ. ჩიმერინა. სამწვრთნელო საქმიანობაში ჩაებეს ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი სპეციალისტები გ. ახალაძე, რ. აბჟანდაძე, გ. მუსაელიანი, ა. არჩიევი, ი. რიაზანოვა-ერმოლოვა, ა. ივანოვა, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტი მ. თომაძე. სკოლის განკარგულებაშია 6 საზაფხულო კორტი მარჯანიშვილის ქუჩაზე, ხოლო სამ-სამი — კიროვის სახელობის პარკსა და „განთიადის“ მოედნებზე. ზაფხულის პერიოდში ეს კორტები 400-ზე მეტ ნორჩ სპორტსმენს მასპინძლობს. მაგრამ ზამთარში ყველას როდი იტევს ჩოგბურთის სასახლის ორი დახურული კორტი.

სკოლის დაარსებიდან 2 წლის შემდეგ გამოვლინდნენ ისეთი ბავშვები, რომლებმაც რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიქციეს. ამ სკოლის გუნდმა გაიმარჯვა ამიერკავკასიის ნაკრები გუნდების ტრადიციულ ასპარეზობაში. მაგრამ სკოლის პედკოლექტივს როდი აკმაყოფილებს ასეთი მცირე მასშტაბის მიღწევები. ყველა შეკრებაზე — იქნება ეს პედაგოგიური საბჭო თუ მწვრთნელთა საბჭოს სხდომა, მთავარ საკითხად მუდამ დგას სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებებში მონაწილეობა. სკოლის მუშაობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე მოსწავლეთი მორალურ-ნებელობითს აღზრდას. ტარდება ლექციები, ბავშვები ხშირად ადევნებენ თვალს უფროსი ამხანაგების ვარჯიშს, აგრეთვე სახელგანთქმული ა. მეტრეველის თამაშს. ბავშვები მშობლებთან და მწვრთნელებთან ერთად ხშირად აწყობენ ექსკურსიებს თბილისის გარეუბანში. საკონფერენციო დარბაზში აჩვენებენ კინოფილმებს პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატებზე. ყველა ეს ღონისძიება ემსახურება მრავალმხრივ განვითარებულ სპორტსმენთა აღზრდას. თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ჩოგბურთის სპეციალიზებული სპორტული სკოლის ინიციატივით, ყოველწლიურად ტარდება თბილისის, ბაქოსა და ერევნის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ტრადიციული შეხვედრები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა შორის ინტერნაციონალური მეგობრობის განმტკიცებას.

ახლა ვნახოთ როგორია მოსწავლეთა მიერ მოპოვებული შედეგები.

1980 წელს დონეცკში სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიკოლოზ ოზეროვის პრიზის გათამაშებაში თავი ისახელა დათო კოჟარამ (მწვრთნელი გ. ახალაძე). სევეროდონეცკის ზამთრის საკავშირო პირველობაში გაიმარჯვეს ჯაბა ფხაკაძემ და ლეილა მესხმა. ლვოვში ფ. ულანოვის პრიზზე XIII საკავშირო ტურნირში სკოლის აღსაზრდელებმა გუნდური I ადგილი მოიპოვეს. პირად ჩათვლაში კი ყველას აჯობა 10 წლის ირინე გერაძემ (მწვრთნელი რ. აბჟანიძე). რესპუბლიკის ჭაბუკთა პირველობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა შორის კვლავ ამ სკოლის მოსწავლეები — ლ. მეტრეველი, ზ. ფოცხვერია, ლ. მესხი, ი. გერაძე, ჯ. ფხაკაძე, მ. სალარაძე არიან. 1980 წელს ვიტებსკისა და კალინინგრადის საკავშირო ტურნირებში გამარჯვებულთა შორის იყვნენ ე. ბოკუჩავა, ჯ. ფხაკაძე, ა. ნაჰაპეტიანი. ლვოვში გამართულ ჭაბუკთა საკავშირო პირველობაში ვერცხლის ორი მედალი მოიპოვა ლ. მესხმა. სოჭში ნიკოლოზ ოსტროვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში გაიმარჯვეს ნინო არაბულმა და დათო კვარაცხელიამ, ერევანში, ს. ათანესიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში წარმატებით გამოვიდა 10 წლის ნინო წირღვავა (მწვრთნელი ა. ივანოვა).

წლეულს სევეროდონეცკში გამართულ სსრ კავშირის ზამთრის პირველობაზე საპრიზო ადგილები მოიპოვეს ირაკლი მეტრეველმა და ი. გერაძემ. ხარკოვის ტურნირში ი. გერაძემ კვლავ წარმატებით იასპარეზა და პირველად საბჭოთა ჩოგბურთის ისტორიაში ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად საფრანგეთში წავიდა 11 წლის ჩოგბურთელი... როგორც ვხედავთ, მიღწევები სახეზეა.

ამავე დროს სკოლის წინაშე პრობლემებიც დგას, რომელთაგან უპირველესია საკუთარი ბაზა. სამწუხაროდ, ბაზის მშენებლობა დიღომში უსაშველოდ ჭიანურდება. საჭიროა აგრეთვე სპეციალიზებული სპორტული კლასების შექმნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. კიდევ ერთი პრობლემა: თბილისში ხშირად ეწყობა სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები და მთავარი არბიტრები, შეიძლება ითქვას, სანთლით ეძებენ ამ ასპარეზობათა მსაჯებს. ალბათ საჭიროა, რომ ყურადღება მიექცეს მსაჯთა მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს, ხშირად ჩატარდეს მათთვის სემინარები.

ჩოგბურთი, სპორტის ეს უძველესი და ულამაზესი სახეობა სწრაფად იძენს ფართო პოპულარობას. ჩვენი ჩოგბურთი ყოველთვის იდგა მოწინავე პოზიციებზე და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ტრადიციების შენარჩუნება-განმტკიცების საქმე საიმედო ხელშია.

ამას გვაფიქრებინებს სპორტსკოლის დირექტორის, აღმზრდელი მწვრთნელების თავდადებული შრომა და ამ შრომის პირველი შედეგები.

ა. მალაიანცი.

საკავშირო კატეგორიის მსაჯი.



მულახელთა წარმატებები!

როცა ასეთი მონდომებაა

...**როდესაც** ჩვენმა ყმაწვილებმა ასეთი პატრიოტული საქმის გაკეთება ითავეს — ილია გაბლიანის სახელობის სპორტული სკოლის მშენებლობა — სიამაყით ავივსეთ ასაკოვანი ხალხი. ეს უფროსი თაობების ტრადიციებისადმი ახალგაზრდების ერთგულების კიდევ ერთი გამოვლინება იყო. არა, ისე არ გამიგოთ, თითქოს მოულოდნელი ყოფილიყოს ჩვენთვის ეს ამბავი. სოფელში მათი მარჯვენით ბევრი კარგი საქმე გაკეთებულა. მულახის სასოფლო საბჭო რომ წლების მანძილზე მოწინავის პოზიციებს არ თმობს რესპუბლიკაში, ამაში მათაც მიუძღვით წვლილი. მაგრამ, ეს სულ სხვაა. ამ ახალ ინიციატივაში გამჟღავნდა იმ მადლიერების გრძნობა, რომლითაც მულახელები, საერთოდ, მთელი მესტიის რაიონის მშრომელები არიან გამსჭვალულნი კომუნისტური პარტიისადმი, მისი მზრუნველობისადმი. მოგეხსენებათ, რამდენიმე წლის წინათ ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება მესტიის რაიონის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა რაიონში. ჰოდა, როდესაც ახალგაზრდებმა ამ ზრუნვის შედეგები თვალნათლივ დაინახეს, გადაწყვიტეს, შეძლებისდაგვარად გამოეხატათ თავიანთი მადლიერების გრძნობა. ვფიქრობ, გაამართლეს კიდეც — მშენებლობის ხელმძღვანელობა კმაყოფილია ჩვენი ბიჭების გამარჯვებებით.

ეს სიტყვები ამ რამდენიმე წლის წინ აქვს ნათქვამი მულახის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს კაპიტონ ქორქოლიანს, იმ დროს, როცა მულახელ ჭაბუკებს საოცნებოდ ჰქონდათ საკუთარი სპორტული სკოლა და ამ ოცნებას თვითონვე ასხამდნენ ფრთებს — საკუთარი მარჯვენით, ყოველგვარი სიზარმაცის, დღეს-ხვალიობის გარეშე, მუხლმოუდრელად, უსასყიდლოდ აგებდნენ სანატრელ დარბაზს და აკი ააგეს კიდეც.

კომკავშირის მესტიის რაიონული კომიტეტის თავკაცების, მისი პირველი მდივნის, წარსულში ცნობილი სპორტსმენის ბორის კახიანის ინიციატივით, მთელი რაიონის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ჯერ რაიარქიტექტურაში შეიქმნა პროექტი (ავტორი — ამჟამად რაიონის მთავარი არქიტექტორი ნუგზარ ჩხეტიანი), ხოლო შემდეგ სიტყვა საქმედ იქცა — სკოლამ ქაღალდიდან მულახის ერთ ლამაზ უბანში გადაინაცვლა. დაიდო საძირკველი და აჰა — დღეს უკვე 215 ბავშვი და მოზარდია ჩაბმული სკოლაში არსებულ 16 წრეში — კაჟდებიან, სხეულს ილამაზებენ, ოსტატდებიან სვანი ახალგაზრდები. ეს იყო სწორედ ბორის კახიანისა და მისი თანამზრახველების ერთ-ერთი უმთავრესი საფიქრალი, საზრუნავი, კიდევ ის, რომ მოზარდებს უქმად არ ეხეტიალათ სოფელ-სოფელ, არ ჩამოხიზნულიყვნენ ქალაქად და უმიზნო ცხოვრებას არ სწეოდნენ. დიახ, ერთი სპორტსკოლის აგებით რამდენიმე დიდი, სერიოზული, ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა, საშვილიშვილო საქმე გაკეთდა! თანაც, სახელიც რომ მშვენიერი შეურჩიეს — ცნობილი, ყველასთვის საყვარელი და სამაგალითო მთამსვლელის — ილია გაბლიანის სახელი.

ოთხი თვის მანძილზე (!) შენდებოდა მულახის სპორტსკოლა — სპორტული დარბაზით და მოედნით, 25-მეტრიანი საცურაო აუზით და 1977 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. დირექტორად ქვიტი დევდარიანი დაინიშნა. 12-კაციან შტატში 6 მწვრთნელია — თენგიზ ნავერიანი და რობერტ გუჯეჯიანი, ავლან ნავერიანი და იულონ დევდარიანი, ქვიტი დევდარიანი და შოთა ნაკანი...

სკოლა 1978 წლის იანვრიდან შეუდგა ინტენსიურ მუშაობას და იმავე წელს ძიუდოშიც და ქართულ ჭიდაობაშიც პირველი წარმატებები იზეიმეს მულახელებმა — რაიონის ჩემპიონობა ოთხმა ჭაბუკმა მოიპოვა, ხოლო დათო ნავერიანი საქართველოს ჩემპიონი გახდა მოსწავლეთა შორის ქართულ ჭიდაობაში. 1978-79 წლებში სკოლის რამდენიმე აღსაზრდელი II ადგილს დაეუფლა საგარეჯოსა და თელავში გამართულ რესპუბლიკურ პირველობებში, ხოლო 1979 წელს, თებერვალში, დათო ნავერიანმა „დინამოს“ საკავშირო საბჭოს მოზრდილთა პირველობაში III საპრიზო ადგილი დაისაკუთრა ძიუდოში. ამჟამად სპორტის ოსტატი დ. ნავერიანი ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს. იგი რესპუბლიკის ძიუდოისტთა ახალგაზრდულ ნაკრებშია შეყვანილი. სხვათა შორის, წელს, ერევანში, მან I ადგილი მოიპოვა უმაღლესი სასწავლებლების საკავშირო პირველობაში.

შარშან საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, ქუთაისში, მესტიის რაიონის ნაკრები გუნდის ღირსებას 4 მულახელი სპორტსმენი იცავდა. მათგან ოთარ იოსელიანმა და ბესიკ დევდარიანმა III ადგილები დაიკავეს ძიუდოში და საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდშიც მოხვდნენ.

წელს ზესტაფონში საქართველოს პირადი პირველობა გაიმართა ძიუდოში 1964-65 წლებში დაბადებულთა შორის. ამ შეჯიბრებაში ექვსმა მულახელმა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა — ზურაბ დევდარიანი ჩემპიონი გახდა და ტექნიკური ჭიდაობისთვის სპეციალური თასითაც დაჯილდოვდა. II ადგილები წილად ხვდათ სპარტაკ და ირაკლი მარგიანებს, III — თამაზ ნავერიანს. ლენინგორში კი ქართულ ჭიდაობას დაეთმო სარბიელი — აქ 1965-1966 წლებში დაბადებულნი ეცილებოდნენ ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონობას, მულახიდან ოთხი სპორტსმენი ასპარეზობდა — ლერი ქორქოლიანმა (52 კგ) პირველობა მოიპოვა, ომარ იოსელიანმა (60 კგ) კი III ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ორივე სპორტსმენი რაიონის უცვლელი ჩემპიონია.

ეს, რაც შეეხება ძიუდოსა და ქართულ ჭიდაობას. ახლა სხვა სახეობებშიც „ჩავიხედოთ“.

რაიონის მეკლდეურთა ნაკრები გუნდი ძირითადად მულახის სპორტსკოლის აღსაზრდელებით კომპლექტდება. 1978 წლიდან დღემდე მათ რესპუბლიკის არც ერთი პირველობა არ გამოუტოვებიათ მოზრდილთა შორის და III-IV ადგილებზე დაბლა არ ჩამოსულან. განსაკუთრებით გამოირჩევა მე-9 კლასელი ზინა ჭკადუა, რომელმაც როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო პირველობებში არაერთგზის სცადა ძალა. ამჟამად იგი საქართველოს მოზრდილთა ნაკრებ გუნდშია და წარდგენილია სპორტის ოსტატის წოდებაზე. სპორტის მესვეურები მას დიდ წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ.

სათხილამურო სპორტში (რბოლებში) წარმატებით ასპარეზობს გოგონათა გუნდი — დებმა ელზა და ეთერ ზურებიანებმა, რეზო შერვაშიძემ 1980-81 წლებში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს მოზრდილთა შორის 5 და 15 კმ. ამანათრბენში. შარშან, საქართველოს პროფკავშირთა პირველობაზე და „კოლმეურნეს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მათ კვლავ არავის დაუდეს ტოლი, ახლა ისინი საკავშირო სპორტის ოსტატობის წოდებაზე არიან წარდგენილი.

რევაზ იოსელიანმა და ბადრი ჯაჭვლიანმა არავის დაუთმეს რესპუბლიკის ჩემპიონობა მოსწავლე მოკრივეთა შორის, ხოლო რამინ ქორქოლიანმა და ლერი ქურდიანმა III ადგილები მოიპოვეს...

...მკითხველს პატიება უნდა ვთხოვო, — ძალიან გამიტაცა სტატისტიკამ, მაგრამ ერთი კია, ვიფიქრე, იქნებ ასე უფრო ნათლად გამოიკვეთოს-მეთქი მულახელ სპორტსმენთა საქმეები. არადა, გამოსაკვეთი და წარმოსაჩენი ბევრი რამ აქვთ მულახელებს. ორწელიწადნახევარში მიღწეული ესოდენი წარმატება იმ დროს, როცა ინვენტარის მხრივ დიდი გაჭირვებაა, როცა არა აქვთ საკმარისი რაოდენობის ჩოხები და კიმონოები, როცა საკმარისად არა აქვთ თხილამურები, როცა... ალბათ, არც ისე იოლია და თუ დღეს მულახელ მოზარდთა წარმატებებზე ამდენი ვისაუბრეთ, ეს პირველ ყოვლისა, ქვიტი დადვანის, სკოლის მწვრთნელების დიდი დამსახურებაა. ბორის კახიანის, მისი თანამოაზრეების, რაიონის ხელმძღვანელების დიდი დამსახურება, და ბოლოს, თვით მულახელი ახალგაზრდებისა, რომელთაც ყველა საქმე გვერდზე გადადეს, არად ჩააგდეს მშენებლობის სიმძიმე, სხვადასხვა სიძნელეები და თავიანთი საოცნებო კოშკი ააგეს.

ალალი იყოს მათი ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი. ასე მხნედ, ასე ყოჩაღად გევლოთ მულახელო ახალგაზრდებო!

დ. გურული.

მესტია.

„იმედის თასზე“

ესტონეთის დედაქალაქში გრძელდება საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული „იმედის თასის“ ნახევარფინალური გათამაშება მოზარდ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

განსაკუთრებული დაძაბულობით აღინიშნა III ტურის მატჩები. მოსკოვისა და ლიტვის გუნდების შეხვედრაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ტაჯიკმა ჭაბუკებმა ერთადერთი ბურთი გაიტანეს ესტონეთის გუნდის კარში და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ყურადღების ცენტრში იყო საქართველოსა და ბელორუსიის კოლექტივების შეხვედრა. პირველ ტაიმში დაწინაურდნენ ბელორუსები — 1:0. შესვენების შემდეგ ჩვენმა გუნდმა დიდი ალმავლობით ითამაშა — თ. კიკლიაშვილმა საპასუხო ბურთი გაიტანა, ხოლო ლ. ბარათაშვილმა გამარჯვება მოუტანა საქართველოს ნაკრებს — 2:1.

საქართველოს ნაკრებს დიდი წარმატება მოუტანა IV ტურის მატჩმა ლიტვის გუნდთან. მართალია, ჩვენი ფეხბურთელები დასაწყისში აგებდნენ — 0:1, მაგრამ უგრელიძემ ზედიზედ გაიტანა 2 ბურთი, შემდეგ კი ჯენიამ და კვირიკაძემ ანგარიში აიყვანეს 4:1-მდე.

ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს ნაკრებს ტალინის ნახევარფინალში განაღდებული აქვს პირველი ადგილი და ფინალის საგზური, ვინაიდან მისი ერთადერთი კონკურენტი — ტაჯიკეთის ნაკრები დამარცხდა ბელორუსებთან შეხვედრაში — 0:3 და ჩვენს გუნდს ველარ ეწევა.

ო. ჯებაშვილი,

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

მოგვყავს სსრ კავშირის 44-ე საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის შეხვედრათა ტექნიკური მონაცემები:

„ფახთაქორი“ — „სპარტაკი“ 3:0 (0:0). ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა სამივე ბურთი შესვენების შემდეგ გაიტანეს (იაკუბიკი, კაბაევი, ბაიმეტოვი).

დუბლიორები — 1:2.

„ტორპედო“ — „დინამო“ კ. 0:0.

გააფრთხილეს ტორპედოელი სუსლოპაროვი და დინამოელი დუმანსკი.

დუბლიორები — 0:0.

ცსკა — „ჩერნომორეცი“ 0:2 (0:0). ოდესელებმა ბელანოვმა და შარიიმ მეორე ტაიმში 2 ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში. არმიელმა ჩესნოკოვმა ვერ გამოიყენა პენალტი: ბურთი მოიგერია მეკარე ჟეკიუმ.

გააფრთხილეს ოდესელი პლოსკინა.

დუბლიორები — 0:2.

„ტავრია“ — „შახტიორი“ 0:3 (0:2). მე-15 და მე-16 წუთებზე ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა დონეცკელმა ფედორენკომ, შემდეგ კი გრაჩოვმა მესამედ აიღო სიმფეროპოლელთა კარი.

დუბლიორები — 2:6.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

„ყუბანი“ — „დნეპრი“ 2:2 (1:1). მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს კალეშინმა და პლოშნიკმა, ხოლო „დნეპრის“ მხრივ — პოგორელოვმა და ლიტოვჩენკომ.

დუბლიორები — 0:0.

„დინამო“ მნ. — „ქაირათი“ 1:1 (0:0). მე-80 წუთზე ანგარიში გახსნა მინსკელმა გურინოვიჩმა, 7 წუთის შემდეგ საპასუხო ბურთი გაიტანა ფეხლევანიდიმ.

გააფრთხილეს ალმაათელი გლადილინი.

დუბლიორები — 2:0.

„არარატი“ — ასკ. რ. 4:0 (1:0). 2 ბურთი გაიტანა კირაკოსიანმა. თითო — ოჰანესიანმა (პენალტი) და მხითარიანმა.

დუბლიორები — 3:1.

უმაღლესი ლიგის საუკეთესო სნაიპერთა შორის წინაა მოსკოვის სპარტაკელი ი. გავრილოვი — 20 ბურთი. თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელ რ. შენგელიას გატანილი აქვს 15 ბურთი. კიეველ ო. ბლოხინსა და ლენინგრადელ ვ. კაზაჩონოკს — 13-13.

უმაღლესი ლიგა

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისში გაიმართა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიელთა გუნდს შორის.

შეხვედრა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ანდღულაძემ და ჯოხაძემ.

თბილისის დინამოელებმა ითამაშეს ასეთი შემადგენლობით: მჭედლიძე, მუჯირი (ლოგუა), მელიქია, პაიკიძე, კუდინოვი, ანდღულაძე, ჯოხაძე, ყორდანია (გურული), გოგრიჭიანი, ცავა, მესხი.

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	25	18	7	0	42—12	43
„სპარტაკი“	27	17	4	6	58—31	38
„დინ.“ თბ.	26	12	8	6	45—26	32
„ტორპედო“	26	11	9	6	30—24	31
„დინ.“ მ.	25	11	7	7	33—24	29
„შახტიორი“	25	10	8	7	41—26	28
ცსკა	26	9	7	10	29—29	25
„დინ.“ მნ.	25	8	8	9	28—27	24
„ნეფთჩი“	26	7	11	8	23—36	24
„ქაირათი“	27	7	9	11	32—39	23
„ყუბანი“	26	8	6	12	33—41	22
„დნეპრი“	26	8	6	12	33—46	22
„ტავრია“	26	8	6	12	23—37	22
ასკ რ.	26	7	8	11	30—40	22
„ჩერნომ.“	25	8	5	12	23—32	21
„არარატი“	25	7	7	11	28—36	21
„ზენიტი“	24	6	8	10	24—30	20
„ფახთაქ.“	26	5	4	17	23—42	14

დუბლიორთა შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	25	17	5	3	43—17	39
„დინ.“ თბ.	26	17	4	5	58—27	38
„შახტ.“	25	14	5	6	44—28	33
„სპარტ.“	27	13	6	8	48—35	32
„დინ.“ მნ.	25	11	8	6	43—31	30
„ზენიტი“	23	12	4	7	39—26	28
„დინ.“ მ.	25	10	8	7	41—36	28
„დნეპრი“	26	11	4	11	40—41	26
ცსკა	26	11	4	11	30—37	26
„არარატი“	25	9	6	10	24—36	24
„ქაირათი“	26	8	8	10	26—40	24
„ნეფთჩი“	26	6	11	9	28—32	23
„ჩერნომ.“	25	8	6	11	26—33	22
„ყუბანი“	26	7	8	11	24—31	22
„ფახთაქ.“	26	6	8	12	36—42	20
„ტორპ.“	25	6	8	11	23—32	20
ასკ რ.	25	5	4	16	22—39	14
„ტავრია“	26	2	5	19	20—52	9

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა გუშინდელი ტურის შედეგები.

I ლიგა

27 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 30-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები მოსკოვში შეხვდნენ „ლოკომოტივს“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

ხაბაროვსკის არმიელთა გუნდმა თავის მინდორზე დაძაბულ ბრძოლაში მოუგო ლანჩხუთის „გურიას“ — 1:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (კოსტრომა) — „კარპატი“ (ლვოვი) 1:0, „შინნიკი“ (იაროსლავლი) — „პრიკარპატიე“ (ივანო-ფრანკოვსკი) 3:0. „ისკრა“ (სმოლენსკი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 0:0, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:0, „ტრაქტორი“ (პავლოდარი) — ასკ (ოდესა) 2:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „პამირი“ (დუშანბე) 4:0, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „ბუსტონი“ (ჯიზაკი) 0:2, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:0, ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტ-სტი“	30	18	8	4	49—17	44
„კოლოსი“	30	14	9	7	42—25	37
„ლოკომ.“	30	14	9	7	38—21	37
„ისკრა“	30	12	10	8	26—21	34
„შინიკი“	30	12	9	9	43—36	33
„პამირი“	30	13	6	11	33—31	32
„ნისტრუ	30	12	8	10	33—29	32
„სპარ.“ ქ.	30	11	10	9	28—28	32
„ჟალგირ.“	30	11	10	9	25—26	32
„ზარია“	30	10	12	8	28—27	32
„ტორპ.“	30	14	3	13	31—33	31
„ფაკელი“	30	12	6	12	30—26	30
ასკ ქ.	30	11	7	12	45—48	29
ასკ ოდ.	30	9	11	10	34—30	29
„ტრაქტ.“	30	9	11	10	30—37	29
„მეტ-გი“	30	9	10	11	34—33	28
„გურია“	30	9	9	12	26—31	27
ასკ ხ.	30	10	6	14	24—30	26
„კარპატი“	30	9	8	13	32—38	26
„კუზბასი“	30	8	10	12	27—33	26
„დინამო“	30	8	10	12	26—36	26
„სპ.“ ორ.	30	7	10	13	18—31	24
„პრიკარ.“	30	8	7	15	25—38	23
„ბუსტონი“	30	8	5	17	23—45	21

II ლიგა

27 აგვისტოს დაიწყო II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშება, რომლებიც იბრძვიან IX-XVI ადგილებისთვის.

ფოთის „კოლხეთმა“ თავის მინდორზე მოუგო ბათუმის „დინამოს“ — 1:0, ხოლო გორის „დილამ“ დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი“ — 2:1. ფრედ დამთავრდა 2 შეხვედრა: „არაზი“ (ნახიჩევანი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 1:1, „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

IX-XVI ადგილები

მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ ბ.	31	15	2	14	40—39	32
„დილა“	31	12	6	13	46—56	30
„ლოკ.“ თბ.	31	12	5	14	34—36	29
„კოლხ.“	31	11	7	13	36—37	29
„არაზი“	31	7	8	16	22—42	22
„მეტალ.“	31	7	6	18	22—53	20
„პროგრ.“	31	5	9	17	30—71	19
„ავტომ.“	31	4	6	21	29—62	14

თავს ესხმიან მენოტის

არგენტინის რეაქციული პრესა თავს ესხმის ეროვნული გუნდის მწვრთნელს ლ. მენოტის, რომელსაც ამტყუნებენ „მემარცხენე შეხედულებებში“. ეს კამპანია განსაკუთრებით გაძლიერდა მენოტის განცხადების შემდეგ, რომ ისიც და მისი ფეხბურთელებიც „პასუხისმგებლობას გრძნობენ არა არგენტინის მთავრობის, არამედ თავისი ხალხის მიმართ“. მწვრთნელს ისიც ბრალდება, რომ იგი დიდ ყურადღებას უთმობს ფეხბურთელების ზოგად განვითარებას, რომლის საფარქვეშ უნერგავს „რევოლუციურ მსოფლმხედველობას“.

რეკორდი გააუმჯობესა

ესპანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს სან-სებასტიანის „რეალის“ ახალგაზრდა მეკარე, ნაკრების ფეხბურთელი არკონადა.

ამას წინათ არკონადამ გააუმჯობესა ცნობილი რიკარდო ზამორას ძველისძველი რეკორდი: ბრაზილიელებთან გამართული ამხანაგური საერთაშორისო მატჩი არკონადასთვის ზედიზედ 36-ე იყო ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში.

ზამთარ-ზაფხულ

გამოჩენილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი კროლი იმ იშვიათთაგანია, რომელიც საერთოდ არ საჭიროებს დასვენებას. 9 თვის მანძილზე იგი იტალიის „ნაპოლიში“ თამაშობს და მიმომხილველებმა იტალიის № 1 ფეხბურთელადაც ცნეს. როცა იტალიაში საზაფხულო შესვენებაა, კროლი აშშ-ს ლიგის პირველობაზე გამოდის კლუბ „ვანკუვერ უაიტკეპსში“.

უცხოელები ავსტრიის ლიგაში

ბუდაპეშტის გაზეთმა „ნეპშპორტმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „უცხოელები ავსტრიაში“. აი, ვინ რომელ კლუბში თამაშობს: **ვენის „აუსტრია“** — ცვეტკოვი, პეტკოვი (ორივე — ბულგარეთიდან), პიაცა (არგენტინა); **ვენის „რაპიდი“** — პანენკა (ჩეხოსლოვაკია), **გრაცის „შტურმი“** — ბრეგერი, ბაკოტა (ორივე — იუგოსლავიიდან), სტენდალი (დანია). **„გრაცერ აკ“** — ეკმეჩიჩი (იუგოსლავია), მოდერი (ჩეხოსლოვაკია); **ვენის „ადმირა-ვაკერი“**—კუნა (ჩეხოსლოვაკია), **ლინცის ვოესტ-ი** — ტოპერი, ბლაზერი, კასცორი (სამივე — გფრ-დან); **„ვინერ შპორტკლუბ-პოსტი“** — ჯურიჩი (იუგოსლავია), მარტინესი (ურუგვაი), მაშტალერი (პოლონეთი); **ზალცბურგის „აუსტრია“** — პოლაკი (ჩეხოსლოვაკია), შმიდტი (გფრ); **„სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი)** — ჯულიჩი (იუგოსლავია), ეირი (ინგლისი), შენკი (გფრ).

5 უპირველესი სნაიპერი

ვინ არის უპირველესი სნაიპერი ფეხბურთის ისტორიაში? ძნელი სათქმელია, მაგრამ უახლესი სტატისტიკური გამოკვლევებით ასეთად მიჩნეულია ჩეხოსლოვაკიელი ი. ბიკანი, რომელმაც სხვადასხვა ოფიციალურ შეჯიბრებაში 1354 ბურთი გაიტანა. მეორე ადგილზეა გერმანული წარმოშობის ბრაზილიელი ა. ფრიდენრაიხი (1329), მესამეზე — „ფეხბურთის მეფე“ პელე (1281), მეოთხეზე — უნგრელი ფ. პუშკაში (1176), მეხუთეზე — ავსტრიელი ფ. ბინდერი (1032).

მაგრამ მითითებულია ისიც, რომ პელემ არაოფიციალურ შეხვედრებში თითქმის კიდევ ამდენი ბურთი გაიტანა.

სპორტული პრესის ცნობით

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ აქაურ პროფესიულ კლუბებში ამჟამად თამაშობს 15 ქვეყნის 23 უცხოელი ფეხბურთელი. მათ შორის არიან იუგოსლავიელები, ისლანდიელები, სამხრეთკორეელები, შვედები, ავსტრიელები, შვეიცარიელები, აგრეთვე, თითო ინგლისელი, დანიელი, ლუქსემბურგელი, თურქი, ფრანგი, ნორვეგიელი, ჰოლანდიელი, პოლონელი და იაპონელი ფეხბურთელი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

18 კაპიტნის არჩევანი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საფეხბურთო ბუნდესლიგის 18 გუნდის კაპიტნები ყოველ წელს წილისყრით ასახელებენ თავიანთი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელს.

1980-81 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად 9 ხმით გავიდა მიუნხენის „ბაიერნის“ მოთამაშე ბრაიტნერი. მისმა თანაგუნდელმა რუმენიგემ, რომელიც ევროპის საუკეთესო მოთამაშის „ოქროს ბუცს“ ფლობს, 7 ხმა მიიღო.

პანორამა

● მძლეოსნობა

კიევში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება მძლეოსნობაში. გაიმარჯვა რსფსრ-ს გუნდმა. მეორე ადგილი ხვდათ თასის შარშანდელ მფლობელებს, უკრაინელებს. მეორე ჯგუფის ქალაქებისა და ოლქების კოლექტივებს შორის, როგორც შარშან, წელსაც კიევის გუნდმა იმარჯვა.

* * *

შვეიცარიის ქალაქ ციურიხში ამ ერთი კვირის წინ დამყარებული რეკორდი ერთ მილზე რბენაში, რომელიც ინგლისელ ს. კოეს ეკუთვნოდა, გაუმჯობესდა კობლენცში: ასევე ინგლისელმა ს. ოვეტმა ადრინდელ რეკორდს 0,13 წამი „ჩამოაჭრა“ — დისტანცია 3.84,40-ში დაფარა.

მსოფლიო რეკორდსმენმა კენიელმა ჰ. რონომ 5000 მეტრზე რბენა საუკეთესო შედეგით — 13.12,15 დაამთავრა. აქვე ამერიკელი სიგრძეზე მხტომელი ლ. მირიკსი 841 სმ-ზე გადახტა, ხოლო მისი თანამემამულე ს. სკოტი უძლიერესი იყო 1500 მ-ზე რბენაში — 3.31,94. (მეოთხე შედეგი მძლეოსნობის ისტორიაში).

შუბის მტყორცნელ ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა 23 წლის რიგელმა ს. ლეიშკალნემ — 64,38, ხოლო ვაჟთა შორის ამ სახეობაში მეორე შედეგი — 82,38 აჩვენა ვ. ევსიუკომ (მოსკოვის ოლქი).

ს. ოვეტი.

◆

იტალიის ქალაქ პიზაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მოსკოვის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონი ეთიოპიელი სტაიერი მ. იფტერი 10 კმ-ზე ასპარეზობაში მეორე ადგილზე დარჩა. მას აჯობა ასევე ეთიოპიელმა მ. კედირუმ — 28.02,04. იფტერის შედეგია 28.03,23.

ქალთა შორის 800 მ-ზე რბენა მოიგო კენიელმა მ. ჩემუენომ — 2.01,97. მეორე ადგილი წილად ხვდა სვერდლოვსკელ ნ. რუჩაევას — 2.02,05. ვაჟებს შორის ამ დისტანციაზე იმარჯვა კენიელმა ჯ. ნდინამ — 1.45,50. სამმაგი ხტომა მოიგო მსოფლიო რეკორდსმენმა ბრაზილიელმა ჟ. ოლივეირამ — 16,41 მ.

● კალათბურთი

სსრ კავშირის ნორჩმა კალათბურთელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს საბერძნეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. ფინალურ მატჩში, რომელიც სოლონიკებში გაიმართა, მათ დაამარცხეს იტალიის ნაკრები — 72:54 (40:3) და კონტინენტის ჩემპიონები გახდნენ. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში გფრ-ის ნაკრებმა მოუგო ფინეთის გუნდს — 78:64 (41:31).

● ცურვა

მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ინეს დირსმა (გდრ) ბერლინში ევროპის რეკორდი დაამყარა ქალთა შორის 1500 მ-ზე ცურვაში — 16.27,89. ძველი მიღწევა, რომელიც 1979 წლიდან იტალიელ რ. ფელოტოს ეკუთვნოდა, 16.33,54-ს უდრიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

პირველ ადგილზე

ქალაქ ბაილე-ჰერკულანში (რუმინეთი) დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების მოჭადრაკე გოგონათა (20 წლამდე) ტრადიციული VI ჩემპიონატი. ტურნირში 2 სპორტის ოსტატი და 10 ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა. სსრ კავშირის ღირსებას იცავდა ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი, გოგონათა შორის სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი და ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი უმაღლესი დაოსტატების № 1 რესპუბლიკური სკოლის აღსაზრდელი (მწვრთნელები — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები **თ. ხარლამიდი** და **ზ. ბურკაძე**) ოსტატი თამილა მესხი.

აი, რა უამბო თ. მესხმა „ლელოს“ კორესპონდენტს:

— ტურნირზე დაგვიანებით გამოვცხადდი და დღეში ორი პარტიის თამაში მომიხდა. დიდმა მონდომებამ თავისი გაიტანა: შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლე და 9,5 ქულით I ადგილი დავიკავე. ეს უკვე მეორედ გავიმარჯვე ამ ტრადიციულ ტურნირში, რომელიც წინათ ქალაქ პლოეშტში ჩატარდა. ჩემი შემოქმედებით კმაყოფილი ვარ, კარგი პარტია მქონდა მიხაისთან. მეორე-მესამე ადგილები მასპინძლებმა — ოლარეშმა და ბადიჩმა დაიკავეს.

თ. ბერძენიშვილი.

• • •

სურათზე: თამილა მესხი.

● ჭადრაკი

დუელი ფინიშზე

ბრაცში (ავსტრია) დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა მოჭადრაკეთა გუნდების მსოფლიო პირველობა. ფინიშზე ყურადღების ცენტრშია ჩემპიონის ტიტულის მთავარი პრეტენდენტების — სსრ კავშირისა და ინგლისის გუნდების სპორტული დუელი.

IX ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ შვეციის ნაკრებს და დაწინაურდნენ — 1:0 (3). პარტია მოიგო ე. ვლადიმიროვმა. სამ გადადებულ პარტიაში უპირატესობა აქვთ გ. კასპაროვსა და ა. იუსუპოვს. ხოლო ს. დოლმატოვის პარტია შეწყვეტილია რთულ პოზიციაში. ეგვიპტის ნაკრებთან შეხვედრაში დაწინაურდნენ ინგლისელები — 2,5:0,5 (1).

გადადებული პარტიების დამთავრებისას საბჭოთა მოჭადრაკეებმა 2,5 ქულა მოაგროვეს და ჰოლანდიის გუნდს მოუგეს მატჩი ანგარიშით 3,5:0,5. ინგლისელებმა გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრეს და სძლიეს ბერძნებს — 3:1.

X ტურში სსრ კავშირ — ბრაზილიის გუნდების მატჩი შეწყდა ანგარიშზე 1:1 (2). ინგლის — ჰოლანდიის მოჭადრაკეთა შეხვედრაშიც ასეთივე ანგარიშია. უნგრელებმა მოუგეს ბერძნებს — 2,5:1,5.

10 ტურის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს 28 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, ინგლისის ნაკრებს — 26 (2).

სასარგებლო შეხვედრები

მანილაში (ფილიპინები) გრძელდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც უკვე 9 ტური გათამაშდა.

ჩინებულად თამაშობს დიდოსტატი რ. ვაჰანიანი — 8 ქულა. მან IX ტურში სძლია ინდონეზიელ საერთაშორისო ოსტატ ანდიჯანსალს.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან დიდოსტატები ი. სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) — 7, ე. გელერი (სსრ კავშირი) და ე. ტორე (ფილიპინები) — 6,5-6,5.

ფილიპინების გაზეთები ფართოდ აშუქებენ ტურნირის მსვლელობას. ისინი აღნიშნავენ, რომ ფილიპინელ მოჭადრაკეთათვის დიდად სასარგებლოა საბჭოთა დიდოსტატებთან შეხვედრები. ახალგაზრდები იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას.

● მძლეოსნობა

2 000 წლის... რეკორდები

მძლეოსნობა სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც უფრო ობიექტურად ასახავს ადამიანის პოტენციურ შესაძლებლობებს — წერს ჟურნალი „სტადიონი“ (ჩეხოსლოვაკია) და ხაზს უსვამს, რომ სპორტი და მეცნიერება მზად არიან შემოგვთავაზონ ყველაზე გაბედული წინასწარმეტყველებანი. მაგალითისთვის ავიღოთ ლეგენდარული ფინელი მორბენალი პაავო ნურმი, რომელმაც 1924 წლის ოლიმპიადაზე იმ დროის ფენომენალური მსოფლიო რეკორდები დაამყარა 1500 (3.45), 5000 (14.05) და 10000 (29.10) მეტრებზე რბენაში. ამ შედეგებს „საუკუნის რეკორდებს“ უწოდებდნენ და ვარაუდობდნენ, რომ იგი საუკუნის ბოლომდე შემორჩებოდა... სინამდვილეში 1950 წლამდეც ვერ გაძლო, მაშინ მსოფლიოს 10 წელიწადი არ ეცალა რეკორდებისთვის — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ უდიდესი უბედურებით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებდა.

ჟურნალ „სტადიონს“ მოჰყავს მძლეოსან ვაჟთა 1970 წლის მსოფლიო რეკორდების საინტერესო ცხრილი და სპეციალისტთა პროგნოზები 1980 წლისთვის. იქვე მინიშნებულია, რომ ცხრილის ავტორებმა ზედმეტად შეაფასეს 400 და 5000 მეტრებზე მორბენალთა და ბადროს მტყორცნელთა შესაძლებლობანი. პროგნოზები ვერ გაამართლეს მხოლოდ შუბის მტყორცნელებმა და 1000 მ-ზე მორბენლებმა. დანარჩენ 30 სახეობაში პროგნოზები ან სრულად, ან მიახლოებით გამართლდა, ნაწილმა კი გადააჭარბა კიდეც. ამჯერად ჟურნალი „სტადიონი“ გვთავაზობს პროგნოზებს 2000 წლისთვის.

საინტერესოა, რომ ამ წინასწარმეტყველების თანახმად ყველაზე შთამბეჭდავი მიღწევით საუკუნის ბოლოს გაგვახარებენ სიმაღლეზე მხტომელები. სპეციალისტები აქ 250-254 სმ-ს ვარაუდობენ. 20 წლის წინათ მსგავს ვარაუდს სპორტის მოყვარულთა უმრავლესობა აშკარა ფანტაზიად ჩათვლიდა. ახლა კი უნდა დავუჯეროთ წინასწარმეტყველებს და ვირწმუნოთ, რომ 2000 წელს მსოფლიოში მეასე სიმაღლეზე მხტომელის შედეგი იქნება 239 სმ (!) — ოლიმპიური ჩემპიონის გერდ ვესიგის (გდრ) ამჟამინდელ მსოფლიო რეკორდზე (236 სმ) მეტი.

მოგვყავს 2000 წლისთვის სავარაუდო მსოფლიო რეკორდების ცხრილი მძლეოსნობაში.

	ვაჟები	ქალები
100 მ	9,70—9,80	10,50—10,60
200 მ	18,80—19,0	22,00—22,20
400 მ	42,40—42,80	47,40—49,80
800 მ	1.39—1.40	1.50—1.51
1500 მ	3.23—3.25	3.50—3.52
3000 მ		8.10—8.15
5000 მ		12:35—12:45
10000 მ		26:10—26:30
3000 მ წინაღობებით		7:35—7:40
110 მ თარჯრბენი		12,50—12,60
100 მ თარჯრბენი		12,00—12,10
400 მ თარჯრბენი	46,20—46,60	51,40—51,80
სიმაღლეზე ხტომა	254—250	216—212
სიგრძეზე ხტომა	900—890	740—730
სამხტომი		18,50—18,30
ჭოკით ხტომა		620—610
ბირთვის კვრა	24,50—24,00	24,50—24,00
ბადროს ტყორცნა	82—80	80—78
შუბის ტყორცნა	107—103	79—77
უროს ტყორცნა		91—89

მაინც აქვს თუ არა ზღვარი ადამიანის შესაძლებლობებს? ჟურნალი „სტადიონი“ იხსენებს, რომ 1972 წელს, როცა 3000 მეტრზე წინაღობებით მორბენლები ცდილობდნენ 8.20-ის გაუმჯობესებას, ერთ-ერთმა ჩეხოსლოვაკიელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ამას შეძლებს მხოლოდ უბრწყინვალესი მორბენალი და ისიც იდეალურ პირობებშიო. ახლა ამ სახეობაში მსოფლიო რეკორდი 8.05,4-ს უდრის და მის მფლობელს, კენიელ ჰენრი რონოს მიაჩნია, რომ ეს შედეგი ჯერ კიდევ არ არის ზღვარი.

სპორტის სილამაზე სწორედ ის არის, რომ აქ ყოველთვის შეიძლება მოხდეს სენსაცია,ურომლისოდაც იგი დაკარგავდა ერთ-ერთ ნათელ წახნაგს. ამიტომაც უყვართ იგი ადამიანებს. (საკდესი).

●



სურათებზე: „სპორტის დედოფლის“ ჭეშმარიტი რაინდები, საბჭოთა სპორტსმენი ვ. პოლიაკოვი (ზევით) და გ. ვესიგი (გდრ) ასპარეზობისას.

რაზე ოცნებობს ანტოანეტა?

როცა 18 წლის ბულგარელი ა. ტოდოროვას შუბი მსოფლიო რეკორდის ზღვარს გასცდა (71 მ. 88 სმ), ახალგაზრდა სპორტსმენს, რომელმაც ყველაზე დიდი სენსაცია მოახდინა ევროპის თასის გათამაშებაზე ზაგრებში, ჟურნალისტები შემოეხვივნენ.

— თქვენ ალბათ არც გიოცნებიათ ასეთ შედეგზე, — უთხრეს შუბისმტყორცნელს.

— რატომაც არა, — თქვა მომავალმა ფიზკულტურის მასწავლებელმა. ვარჯიშის დროს ჩემი შუბი 70 მეტრსაც გასცილებია, მაგრამ მსოფლიო რეკორდის 1 მ და 80 სმ-ით და პირადი მიღწევის 2 მ და 22 სმ-ით გაუმჯობესებას ასე უცებ თუ შევძლებდი, არ მეგონა.

ანტოანეტა პატარა სოფელ სამოვოდენში დაიბადა. ნიჭიერ გოგონას სკოლაშივე მიაქციეს ყურადღება. ანტოანეტამაც ფიზკულტურის მასწავლებლის, მწვრთნელის პროფესია აირჩია. ზაგრებში ნაჩვენები შედეგი მას საბოლოოდ არ მიაჩნია.

— ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ შუბს 73-74 მეტრზე ვტყორცნი, — თქვა მან. ვინც კი უცქირა მისი შუბის სარეკორდო „გაფრენას“, ეჭვიც არ ეპარება, რომ გოგონას „წინასწარმეტყველება“ ახდება. (საკდესი).

საბჭოთა ფრენბურთელთა გამარჯვება

რიგაში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი (ვ. სავინის მემორიალი). წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდი, რომელმაც დასკვნითს მატჩში დაამარცხა უნივერსიადა — 81-ის ჩემპიონი რუმინეთის გუნდი — 3:2.

პირველ ექვსეულში დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: რუმინეთი, პოლონეთი, კუბა, ბულგარეთი და იტალია. შემდეგ მოდიან ჩეხოსლოვაკიის, ლატვიის, ფინეთის, სსრ კავშირის (ახალგაზრდული) და იაპონიის ფრენბურთელები. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს ლეხ ლასკო (პოლონეთი), პაველ სელივანოვი (სსრ კავშირი) და დან გირლიანი (რუმინეთი).

ვ. სავინის შემდგომი, მეხუთე მემორიალი განზრახულია 1982 წელს ლენინგრადში ჩატარდეს.

კორტებზე არიან დები სალნიკოვები



მიმდინარე სეზონში ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდა ჩოგბურთელები — დები იულია და ალა სალნიკოვები — წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, ოლიმპიური ჩემპიონის სერგეი სალნიკოვის ტყუპი ქალიშვილები. 16 წლის იულიამ პრაქტიკულად ქვეყნის ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი დაამარცხა, როდესაც გაიმარჯვა მოსკოვის ღია ჩემპიონატზე. ალას ჯერჯერობით ნაკლები მიღწევები აქვს კორტებზე, მაგრამ ხშირად იგი ღირსეულ პარტნიორობას უწევს თავის დას და მომავალ გამარჯვებებზე ოცნებობს.

* * *

სურათებზე: იულია სალნიკოვა ასპარეზობისას. კორტებზე არიან ტყუპები ალა და იულია (მარჯვნივ) სალნიკოვები.

საკდესის ფოტოები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17
ИНДЕКС 66435
უე 14584